საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1891
20/05/2022

1891-21-2-202205201438

**შპს „ლეზამს“**
**მის:** ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ასპინძის შეს. 4

**ელ. ფოსტა:** lesami.llc@gmail.com

**ასლი: შპს ,,საქართველოს მელიორაციას“**

2022 წლის 31 მარტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ კისისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას, გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული/რეგისტრირებული ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის კისისხევის დიუკერის (ს/კ; 53.04.46.499) თავზე, რომელიც ემსახურება თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების (22000 ჰა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვას.

შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ ცნობით საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2003 წლის 30 ივნისის N19 ბრძანების (,,სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისთვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“) მიხედვით, მსგავსი დიუკერის გასხვისების ზოლის სიგანე უვადო სარგებლობაში შეადგენს 20-20 მეტრს დიუკერის ღერძიდან თითოეულ მხარეს, ხოლო საექსპლუატაციო გზის ჩათვლით 22-24 მეტრს, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია საწარმოს ადგილმდებარეობის შერჩევისთვის. კომპანიის განმარტებით - გასხვისების ზოლის გათვალისწინებით, ტერიტორიაზე ინერტული მასალების სამსხვრებ-დამახარისხებელი დანადგარისა და ნედლეულის სანაყარო უბნების არსებობა ყოვლად დაუშვებელია, ასევე აღნიშნულ ადგილზე საწარმოს არსებობით შეუძლებელი იქნება ამჟამად ავარიულ მდგომარეობაში მყოფი დიუკერის აუცილებელი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. **ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიას დაუშვებლად მიაჩნია სკოპინგის ანგარიშში მითითებული ტერიტორიის ფარგლებში საქმიანობის განხორციელება.**

გამოვლენილი გარემოების გათვალისწინებით სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო